შპს „ტვ-სახელოსნო
მაესტრო“

ს/კ 405002900
მის: ალ. ყაზბეგის 47
ტელ: 2351446

LTD "TV REPAIRING
MAESTRO"

I/D 405002900
Addr.: str. Khazbegi 15/6
Tel: 2 351446

№ 121/ტ

11 თებერვალი 2019 წ.

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

ბატონო კახი

[თქვენი 05.02.2019-ის № გ-19-16/299 წერილზე პასუხად]

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტების ვალდებულების თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამისობის დეკლარაციას, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად იგივე დეკლარაციას ვაქვეყნებთ ჩვენს ვებ-გვედზე, – infomania.ge

მაუწყებლის საკუთრების გამჭირვალობის მიზნით წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

ა) შესაბამისობის დეკლარაცია (იხ. თან ერთვის)

ბ) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“-მ გადაწყვეტილების № 514/5 საფუძველზე ლიცენზია B167 საკუთრებაში გადასცა შპს „ქართულ რადიოს“ .

შპს „ტვ-სახელოსნო მაესტროს“ ერთადერთი დამფუძნებელი და 100 % -იანი წილის მფლობელია მამუკა ღლონტი (პ/ნ 01030002634)

სხვა დამფუძნებელი, წევრი, შპს „ტვ-სახელოსნო მაესტროს“ არ ჰყავს.

გ) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“ სხვა მაუწყებელში წილს ან აქციებს არ ფლობს;

დ) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“ არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემას;

ე) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“ არ ფლობს პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს;

ვ) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“ არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოს;

ზ) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“ არ ფლობს საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს.

თ) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“ სხვა საწარმოს ან/და სხვა საწარმოში წილს არ ფლობს.

61-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოგახსენებთ:

№1

12.02.19

ა) შპს „ტვ-სახელოსნო მაესტროს“ დირექტორი და დამფუძნებელი მამუკა ღლონტი მაუწყებლობის სფეროში რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ ორგანიზაციაში, – შპს „ქართულ რადიოში“ („რადიო მაესტროში“) ფლობს წილის 60 %-ს.

სხვა ურთიერთდამოკიდებულ პირებთან ერთად ფლობს 1 (ერთ) საეთერო სატელევიზიო არხში შპს „სტუდია მაესტროში“ (რომელიც მაუწყებლობს „მაესტროს“ სახელით) – 15 %.

გარდა ზემოთ დასახელებულისა მამუკა ღლონტი არ ფლობს მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელებში წილს.

ბ) პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს არ ფლობს

გ) საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს არ ფლობს.

დანართი 2 (ორი) ფურცელზე.

პატივისცემით,

შ.პ.ს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“-ს

დირექტორი მ. ღლონტი

		შესაბამისობის დეკლარაცია
	შესაბამისობის დეკლარაციის ფორმა №1	
1	ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	შპს „ტვ-სახელოსნო მაესტრო“
	სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ)	ს/კოდი 405002900
3	მონაცემები ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ	შპს „ტვ-სახელოსნო მაესტროს~ დირექტორი: მამუკა ღლონტი - პ/ნ 01030002634
4	ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან: ა) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; ბ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე; გ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი; დ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტია/ პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი; ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.	ვადასტურებ შპს `ტვ-სახელოსნო მაესტროს~ დირექტორი _ მამუკა ღლონტი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი
5	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.	1) მამუკა ღლონტი (პ/ნ 01030002634) - 100 %

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	675958
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B13106533
ამონაწერის მომზადების თარიღი:	30/10/2013 12:01:13

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ტვ-სახელოსნო მაესტრო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, საქსმმესკის დასახლება, კორპ. №2, ბინა 22
ელექტრონული ფოსტა:	tvmaestro@yahoo.com
საიდენტიფიკაციო კოდი:	405002900
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	29/07/2013
მარეგისტრირებელი ორგანო:	საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01030002634, მამუკა ღლონტი, დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
01030002634, მამუკა ღლონტი,	100.00000000%	

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

+995 32 2921667

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის შპს "ქართული რადიოსთვის" გადაცემაზე მიცემის შესახებ

ნომერი: 514 / 5

გამოქვეყნების თარიღი სექტემბერი 11, 2018 16:05

მიღების თარიღი სექტემბერი 06, 2018

შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის შპს "ქართული რადიოსთვის" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") აღნიშნავს, რომ 2018 წლის 26 ივლისს კომისიას ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს "ტვ-სახელოსნო მაესტრომ" (ს/კ 405002900) და შპს „ქართულმა რადიომ" (ს/კ 200221991) (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/3555-18) შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" მფლობელობაში არსებული კერძო მაუწყებლობის №167 ლიცენზიის შპს "ქართულ რადიოზე" გადაცემის მიზნით, კომისიისგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 48^1-ე მუხლის შესაბამისად, ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა შესაძლებელია, მხოლოდ კომისიის წინასწარი თანხმობით. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი არის პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა, ისარგებლოს რესურსით, ან სხვა ლიცენზიის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების უფლება.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე–2 პუნქტის და 37^1-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე არ შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე;

გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი;

დ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი;

ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.

ამავე კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი აგრეთვე არ შეიძლება იყოს პირი, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე არის სხვა სახელმწიფოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" ან „გ"

ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი/ორგანო, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "ტვ-სახელოსნო მაესტრო" ფლობს კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიას კომისიის 2014 წლის 26 ივნისის N333/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: კერძო მაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: საერთო რადიომაუწყებლობა;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 26 ივნისამდე;

დ) გეოგრაფიული ზონა: ქ. ბათუმი;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტე დაკიდ სიმაღ მიწ ზედაპი (მ
ქ. ბათუმი	90,9	FM	V	წრიული	500	41°41 38" N 41°42 55" E	20

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500 მეტრი რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

კომისია აღნიშნავს, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონაწერიდან და კომისიაში წარმოდგენილი შესაბამისობის დეკლარაციიდან ირკვევა, რომ შპს „ქართული რადიოს" დირექტორი და 60%-იანი წილის მფლობელია მამუკა ღლონტი (პ/ნ01030002634), ხოლო 40%-იანი წილის მფლობელია ეკატერინე აკობია (პ/ნ 01024023515). კომისიაში წარმოდგენილი შესაბამისობის დეკლარაციით კომპანიის დირექტორი ადასტურებს, რომ შპს „ქართული რადიო", ან/და მისი დირექტორი და ბენეფიციარი მესაკუთრეები არ წარმოადგენენ: საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს, სხვა საჯარო მოხელეს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიულ პირს. საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს; ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს; იურიდიულ პირს, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტის მიერ გადამოწმდა შპს „ქართული რადიოს" პარტნიორების მამუკა ღლონტის (პ/ნ01030002634) და ეკატერინე აკობიას (პ/ნ 01024023515) მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ვებ-გვერდზე www.declaration.gov.ge. გადამოწმების შედეგად მამუკა ღლონტის და ეკატერინე აკობიას მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები მითითებულ ვებ-გვერდზე არ იძებნება. ასევე ზემოაღნიშნული ფიზიკური პირების მონაცემები გადამოწმდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის ვებ-გვერდზე (www.napr.gov.ge), გადამოწმების შედეგად ზემოაღნიშნული ფიზიკური პირების მონაცემები მითითებულ ვებ-გვერდზე არ იძებნება.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს, დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად თითო მომსახურების ზონაში ფლობდეს არაუმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო არხს და 1 საერთო საეთერო რადიოარხს. კომისიის უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის მონაცემებით შპს „ქართული რადიო" ფლობს კერძო მაუწყებლობის №B90 და №B141 ლიცეზიებს, რომლებიც ითვალისწინებენ საერთო რადიომაუწყებლობას ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ გადამოწმდა შპს „ქართული რადიოს" და ფიზიკური პირების მამუკა ღლონტის და ეკატერინე აკობიას აფილირება მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციის ან ლიცენზიის მფლობელ სხვა პირებთან. კომისიის უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის მონაცემებით მამუკა ღლონტი წარმოადგენს შპს „ქართული რადიოს" 60%-იანი წილის მფლობელს, შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" 100%-იანი წილის მფლობელს და შპს „სტუდია მაესტროს" 15%-იანი წილის მფლობელს. ეკატერინე აკობია წარმოადგენს შპს „ქართული რადიოს" 40%-იანი წილის მფლობელს და შპს „სტუდია მაესტროს" 5%-იანი წილის მფლობელს. შპს „ქართული რადიოს" აფილირება სხვა ავტორიზებულ/ლიცენზირებულ პირებთან არ დგინდება. შპს "ტვ-სახელოსნო მაესტრო" კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის გარდა მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციას ან ლიცენზიას არ ფლობს. შპს „სტუდია მაესტრო" წარმოადგენს საერთო ტელემაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირს.

კომისია აღნიშნავს, რომ 2018 წლის 6 სექტემბერს გამართულ კომისიის სხდომას ესწრებოდნენ შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" და შპს „ქართული რადიოს" წარმომადგენელი ილია კიკაბიძე. კომისიის სხდომაზე ილია კიკაბიძეს განემარტა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე, 37^1-ე და მე-60 მუხლების მოთხოვნები. მან საკუთარი პასუხისმგებლობით დაადასტურა, რომ შპს "ქართული რადიოს", დირექტორი და ბენეფიციარი მესაკუთრეები არ წარმოადგენენ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" მფლობელობაში არსებული კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის შპს "ქართული რადიოსთვის" გადაცემის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ლიცენზიით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობები და ვალდებულებები უცვლელი სახით გადავა ლიცენზიის ახალ მფლობელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" მიერ მის მფლობელობაში არსებული კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის შპს "ქართული რადიოსთვის" გადაცემაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოება გათვალისწინებული „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისად, შესაძლებელია შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" მიეცეს წინასწარი თანხმობა, მისი კუთვნილი კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, 48^1-ე და მე-60 მუხლებიდან გამომდინარე, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" მის მფლობელობაში არსებული კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის შპს „ქართული რადიოსთვის" გადაცემაზე;

2. უზრუნველყოს შპს "ქართულმა რადიომ" კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის სარგებლობაში მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ლიცენზიის სარგებლობაში მიღების შესახებ ინფორმაციის, შესაბამისი დოკუმენტაციის ასლებისა და შესაბამისობის დეკლარაციის კომისიისთვის მიწოდება;

3. განემარტოს შპს "ქართულ რადიოს", რომ შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროს" მიერ მის მფლობელობაში არსებული კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის შპს "ქართული რადიოსთვის" გადაცემის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ლიცენზიებით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობები და ვალდებულებები უცვლელი სახით გადავა ლიცენზიის ახალ მფლობელზე.

4. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს შპს "ქართული

რადიოს" მიერ კერძო მაუწყებლობის №B167 ლიცენზიის სარგებლობაში მიღების შესახებ ინფორმაციის, შესაბამისი დოკუმენტების ასლებისა და შესაბამისობის დეკლარაციის კომისიაში წარმოდგენის შემდგომ:

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (მ. ქადეიშვილი);

ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);

გ) ლიცენზიის გადაცემის თაობაზე ინფორმაციის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);

დ) შესაბამისობის დეკლარაციის კომისიის ვებ–გვერდზე ატვირთვის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);

5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (მ. ნინუა) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლების შპს "ქართული რადიოსთვის" და შპს "ტვ-სახელოსნო მაესტროსთვის" გაგზავნა;

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი ელისო ასანიძე